

საქართველოს მკვლევართა მობილობის მხარდაჭერა

განხორციელების ვადა: 09.02.2022 - 09.02.2024

EaP ქვეყნები:

Georgia

მთლიანი € 1 405 000

ბიუჯეტი:

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

DAAD

პროექტის ვებსაიტები: www.eu-research.ge

პროექტის აღწერა:

საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სექტორის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, საქართველოს მკვლევართა (ახალგაზრდა მეცნიერების ჩათვლით) დახმარება კონტაქტებისა და კავშირების დამყარებაში ევროკავშირის მკვლევარებსა და მეცნიერებთან, აგრეთვე საქართველოს უნივერსიტეტების, სამეცნიერო ცენტრების, კვლევების დამფინანსებელი ინსტიტუტების, კვლევებში ჩართული მცირე და საშუალო ზომის სანარმოებისა და სხვა სახელმწიფო და/ან კერძო ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერება, რომლებიც თანამშრომლობენ ევროპულ კვლევით ორგანიზაციებთან.



სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

facebook.com/Support-to-Georgias-Researchers-Mobility-Programme-107121128697571,

მოსალოდნელი შედეგები:

საშუალოვადიანი მობილობის სქემა შემუშავდა და განხორციელდა რათა ხელი შეეწყოს საქართველოს და ევროკავშირის მკვლევარებისა და ინოვატორების საერთაშორისო თანამშრომლობას და მათ შორის მდგრადი პროფესიული კავშირების დამყარებას.

საშუალოვადიანი მობილობის სქემის ფარგლებში გაზრდილ სამეცნიერო პროდუქტიულობისა და ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკების შესახებ მიღებულ ცოდნას მკვლევარები გაუზიარებენ და გადასცემენ ქართველ კოლეგებს.

შემუშავდება და განხორციელდება მიზნობრივი ტრენინგები კვლევისა და ინოვაციის სექტორის შესაძლებლობების განვითარებისთვის ჰორიზონტი ევროპასა და ევროკავშირის სხვა დაფინანსების სქემებისთვის საპროექტო წინადადებების წერასა და კვლევითი პროექტების მენეჯმენტის მიმართულებით. მოხდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგრანტო და კვლევითი სამსახურების და კვლევითი ცენტრების შესაძლებლობების განვითარება. საქართველოში კვლევისა და ინოვაციის დამფინანსებელი სააგენტოების ცნობიერება გაიზრდება ევროკავშირის ინიციატივა P2P-ს შესახებ.